საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-12/2591
26/02/2021

2591-2-12-2-202102261805

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, თქვენი 2020 წლის 25 ივნისის N5842/01 წერილთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ზემო იმერეთი-რაჭის დამაკავშირებელი გზის, საჩხერე-ქვემო ხევი-უზუნთა-შქმერი-ზუდალის მონაკვეთის კმ10,548-კმ20,548 სამუშაოებს (ლოტი III) გაცნობებთ, რომ თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე 4.7 კმ (5.0 კმ-მდე) წარმოადგენს სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, ხოლო 5.3 კმ სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს პირველი დანართის მე-12 მუხლის თანახმად, საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას ექვემდებარება თუ „საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია ან/და მოდერნიზაცია, რომლის მთლიანი მონაკვეთის სიგრძე 5.0 კილომეტრი ან მეტია“. გამომდინარე ხსენებულიდან, სარეკონსტრუქციო სამუშაოები არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ შეწყვიტოთ ადმინისტრაციული წარმოება ხსენებულ პროექტთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

ალექსანდრე თევდორაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge